საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაილეთი

ბაილეთი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის რეგიონი), ნასაკირალის სერის ჩრდ. კალთაზე, მდ. სუფსის მარცხ. ნაპირას, ოზურგეთ –ლანჩხუთის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ბ., ახალსოფელი, ჭანიეთური). ზ. დ. 60 მ, ოზურგეთიდან 9 კმ. 274 მცხ. (2014).

ბ-ში შემორჩენილია შუა საუკ. ციხის ნანგრევები, აგურითა და ნატეხი ქვით ნაგები ეკლესია (1609), რ-საც XIX ს-ში თლილი ქვით ამოყვანილი ახ. გუმბათი დაადგეს და მოხატეს (1827). მხატვრობა შეიცავს გურიელთა გვარის წარმომადგენელთა პორტრეტებს.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე დ., არქეოლოგიური მოგზურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.